უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი 03.06.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი, სხდომის მდივანი;
ირინე კვახაძე - ა(ა)იპ - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;
დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), სრული პროფესორი;
ბორის ლეჟავა - შპს კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნეს სკოლის დეკანი;
ნინო სოზაშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - დირექტორის მიადგილე;
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ელენე ვეკუა - საერთაშორისო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. გია კავთელიშვილი - შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს რექტორი;
2. გიორგი ცხვედიანი - შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ვიცე - რექტორი;
3. ნონა ზუმბაძე - შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. დალი ცქიტიშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის

უფროსი;

5. ნინო ჟვანია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. დავით ჩერქეზიშვილი - შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
7. თეა იმედაძე - შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროორექტორი;
8. ზვიად როგავა - შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
9. დავით ბოსტოღანაშვილი - შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ავტორიზაციის ექსპერტი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

თამარ გვიანიშვილი;
ელენე გვენცაძე;
შორენა ხუბუნაია;
ანა კლდიაშვილი;
ქეთევან ცეცხლაძე;
ნინო ჯოჯუა;
თამარ შუდრა;
თამარ ჯანგულაშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - თინათინ ბრეგვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 17:20 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს-თვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. **შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს-თვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომრემ, თამარ გვიანიშვილმა. მისი თქმით, ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით:

- ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა არსებული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად. ამავე დროს, დაწესებულების მატერიალურ–ტექნიკური (სასწავლო ფართი, ინვენტარი, აღჭურვილობა) და ადამიანური რესურსი იძლევა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობას;
- დაწესებულების აღჭურვილი სასწავლო ფართი მთლიანად არ გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც იძლევა დამატებითი კონტინგენტის მიღების და საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესაძლებლობას - კერძოდ, 10087,59 კვ.მ სასწავლო ფართიდან დატვირთულია 4581.18 კვ. მ;
- დაწესებულება გეგმავს როგორც ყველა არსებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, ისე რამდენიმე ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, რისთვისაც გამოცხადებული აქვს კონკურსი აკადემიური თანმდებობების დასაკავებლად, რაც ასევე ერთ-ერთი წინაპირობა იქნება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდისათვის;
- ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ფართი არ შემცირებულა, პირიქით, არსებობს დაწესებულების მატერიალური რესურსების განვითარების გეგმა, რომელიც გულისხმობს არსებული რესურსების შემდგომ განვითარებას.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო ცხრილებიდან და შენობის ტექნიკური ნახაზებიდან ირკვეოდა, რომ წინანდლის ქ. №9 -ში არსებული სასწავლო ფართი მთლიანად არ გამოიყენებოდა სასწავლო პროცესში, რაც იძლეოდა დამატებითი კონტინგენტის მიღებისა და საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესაძლებლობას. დაწესებულების აკადემიური პერსონალის რაოდენობა აკმაყოფილებდა კანონმდებლობის მოთხოვნას, კერძოდ დაწესებულებას ჰყავდა 5 პროფესორი და 80 ასოცირებული პროფესორი. დაწესებულებაში ირიცხებოდა 3079 აქტიური სტუდენტი და შეჩერებული სტატუსის მქონე 789 სტუდენტი.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ რით იყო განპირობებული დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა. იმ პირობებში, როდესაც დაწესებულებას მცირე ხნის წინ მიენიჭა ავტორიზაცია მონიტორინგის პირობით, რომლის შემდეგაც დაწესებულებამ გამოასწორა ხარვეზები და არ გაუუქმდა ავტორიზაცია.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, დაწესებულება ორიენტირებული იყო განვითარებაზე. მათი თქმით, იგეგმებოდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, ახალი შენობების აშენება, უცხოელი პროფესურის მოწვევა. ამასთან, დაწესებულების მიერ გამოცხადებული

იყო აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 700-ზე მეტ სტუდენტს სტატუსი ჰქონდათ შეჩერებული და მათთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, დაწესებულება გადააჭარბებდა არსებულ კვოტას. ამასთან, მათი თქმით, წინანდლის ქ. №9-ში არსებული ფართი, კერძოდ, შენობაში ათვისებული 7 სართული იძლეოდა 5100 სტუდენტისათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს-თვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 5100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 7
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს (საიდენტიფიკაციო კოდი: 208215509) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 5100-ით.

2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენლებმა - დალი ცქიტიშვილმა და ნინო ჟვანიამ, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მიზნით, ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინეს უნივერსიტეტის რექტორის მიერ გაცემული მინდობილობა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ ისარგებლა მინიჭებული უფლებამოსილებით და განაცხადა თვითაცილება, რადგან იგი იყო სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. შესაბამისად, იგი ვერ მიიღებდა მონაწილეობას მოცემული საკითხის განხილვის პროცესში.

საბჭოს წევრმა, ლიკა ქათამაძემ ისარგებლა მინიჭებული უფლებამოსილებით და განაცხადა თვითაცილება, ვინაიდან იგი იყო სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. შესაბამისად, იგი ვერ მიიღებდა მონაწილეობას მოცემული საკითხის განხილვის პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აღნიშნულ საკითხზე სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა ნინო ჩინჩალაძეს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომრემ, დავით ბოსტოღანაშვილმა.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა ჭავჭავაძის N32 -ში მდებარე ფართი (A, B, C და D კორპუსები). C და D კორპუსები გარემონტდა, თუმცა სასწავლო ფართის გაზრდა არ დაფიქსირებულა და დარჩა იგივე. გარდა სასწავლო ფართის გარემონტებისა, გაიზარდა აკადემიური პერსონალისა და ასევე, ინვენტარის რაოდენობაც დაწესებულებაში. 2015 წლის 27 მაისის მდგომარეობით უნივერსიტეტი ახორციელებდა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, კერძოდ, 26 საბაკალავრო, 37 სამაგისტრო და 8 სადოქტორო პროგრამას. ასევე, 24 პროფესიულ, 21 უმაღლეს პროფესიულ პროგრამას მილევად რეჟიმში და ორ სხვა საგანმანათლებლო პროგრამას (მასწავლებლის მომზადების და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს). დაწესებულებაში სწავლობდა სულ 13,549 სტუდენტი , მათ შორის: ბაკალავრიატი - 11,365; მაგისტრატურა - 1727; დოქტორანტურა - 325; უმაღლესი პროფესიული - 22; პროფესიული - 147; ქართულ ენაში მომზადების პროგრამა - 110. დაწესებულებას სურდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა გაეზარდა 16240 სტუდენტამდე, რომელთაგან 165 ადგილი დაეთმობოდა პროფესიული სტუდენტებს. 2015 წლის 27 მაისის მდგომარეობით აკადემიური პერსონალის რაოდენობა იყო 259, მათ შორის: პროფესორი - 100; ასოცირებული - 139; ასისტენტ პროფესორი - 20.

დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს და აღნიშნეს, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენდა კვლევით უნივერსიტეტს, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი იყო სასწავლო და საკვლევი რესურსების განვითარება. ამასთან, სულ უფრო იზრდებოდა სტუდენტთა დაინტერესებაც დაწესებულებით და აღნიშნული განაპირობებდა სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 16240-ით, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 165-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204861970) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 16240-ით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 165-ით.

3. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, ნინო სოზაშვილმა ისარგებლა მინიჭებული უფლებამოსილებით და განაცხადა თვითაცილება, რადგანაც იგი მიეკუთვნებოდა შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს. შესაბამისად, იგი ვერ მიიღებდა მონაწილეობას მოცემული საკითხის განხილვის პროცესში.

საბჭოს წევრმა, ბორის ლეჟავამ ისარგებლა მინიჭებული უფლებამოსილებით და განაცხადა თვითაცილება. შესაბამისად, იგი ვერ მიიღებდა მონაწილეობას მოცემული საკითხის განხილვის პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომრემ ნინო ჯოჯუამ და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა თამარ შუდრამ, ანა კლდიაშვილმა, თამარ ჯანგულაშვილმა და ელენე გვენცაძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებაში შემუშავებული იყო სასწავლო გეგმისა და სილაბუსის ახალი ფორმები. თუმცა, ძველი ფორმები კვლავაც მოქმედი იყო. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის დროს პროგრამის შექმნაში მონაწილე პირები/პროგრამის ხელმძღვანელი უფლებამოსილნი იყვნენ სილაბუსი განსხვავებული დიზაინით შეემუშავებინათ იმ დათქმით, რომ მასში ასახული უნდა ყოფილიყო ამ დოკუმენტითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სილაბუსის სავალდებულო რეკვიზიტები. ვიზიტის დროს ნაწილი პროგრამები და სილაბუსები წარმოდგენილ იქნა ახალი ფორმით, ნაწილი ძველი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, დაფიქსირებული გადაცდომების მიზეზი იყო ძველი ფორმიდან ახალ ფორმაში ინფორმაციის გადატანისას დაშვებული შეცდომები. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ შეიტანა ცვლილებები პროგრამებში და სილაბუსებში, რის საფუძველზეც ნაწილი გადაცდომებისა გამოსწორებულ იქნა. ამასთან, დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშში დაფიქსირებული ჰქონდა საბაკალავრო პროგრამა - ფინანსები, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, რომელიც არ წარმოუდგენია ვიზიტის დროს. დაწესებულების წარმომადგენლების ინფორმაციით, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროგრამის გაუქმების შესახებ. პროგრამის გაუქმების ვადად განისაზღვრა 2015 წლის გაზაფხულის სემესტრის დასასრული. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ინფორმირებული იყო აღნიშნულის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლებმა წარადგინეს საკუთარი თავი საბჭოს წინაშე და ითხოვეს, რომ ექსპერტთა მიერ დასკვნაში დაფიქსირებული თითოეული მოსაზრების წარდგენის შემდეგ, დაწესებულებას მიცემოდა საშუალება თავისი პოზიცია გამოეხატა აღნიშნულის თაობაზე.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს დაწესებულების წარმომადგენლის თხოვნა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, დაწესებულება ახორციელებდა 5 საბაკალავრო და 4 სამაგისტრო პროგრამას და სურდა განეხორციელებინა სადოქტორო პროგრამებიც.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ **1. საგანმანათლებლო პროგრამების** გადამოწმების შედეგად, დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი), სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემოწმებისას გამოჩნდა ტექნიკური სახის შეცდომები სწავლის შედეგის, საათების გადანაწილებისა და წინაპირობების განსაზღვრისას, სასწავლო გეგმაში და ცალკეულ სილაბუსებში. საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობით არ განისაზღვრებოდა მოთხოვნა რომელიმე უცხოური ენის ცოდნის შესახებ, ხოლო ინგლისური ენა 1-ის მიზანი იყო სტუდენტისათვის B1დონის ცოდნის მიცემა. ერთ სემესტრში ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ინგლისური ენის ცოდნის გარეშე ჩაირიცხებიან აღნიშნულ პროგრამაზე. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოასწორა აღნიშნული უზუსტობები და წარმოადგინა starter-ის დონიდან B2 დონემდე ინგლისური ენის სილაბუსები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ცალკეულ პროგრამებში არსებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზები განპირობებული იყო ამ პროგრამების ახალ ფორმატში გადატანისას არსებული ტექნიკური ხასიათის პრობლემებით, რომლებიც გამოსწორებულ იქნა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში და ავტორიზაციის ექსპერტებს გადაეცათ უკვე შესწორებული ვერსია. უცხო ენების სწავლების დონესთან მიმართებით, ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ზოგადი განათლების ფარგლებში ერთ-ერთ უცხოურ ენაში (B1), ხოლო მეორე უცხოურ ენაში - (A2) დონის ფლობას. ამდენად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არაა ვალდებული სტუდენტებს შესთავაზოს starter - ის დონიდან უცხოური ენის სწავლება (მითუმეტეს, რომ დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს რამდენიმე უცხოური ენის შესწავლის შესაძლებლობას). აღნიშნული საკითხი შესაძლოა დაისვას მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, სადაც უცხოური ენის ფარგლებში შეთავაზებულია მხოლოდ ინგლისური ენა. ამ შემთხვევაშიც დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტებს მოთხოვნისთანავე წარუდგინა starter - ის დონიდან B2 დონემდე ინგლისური ენის სილაბუსები.

ექსპერტის განცხადებით, **1.1 საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი)**, გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1.1.1 შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები იდენტურია თითქმის ყველა სასწავლო კურსში. იდენტურია შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფორმატიც. მაგალითად, სასწავლო კურსებში აკადემიური წერა, რაოდენობრივი მეთოდები, საფინანსო ანალიზის რაოდენობრივი საფუძვლები, მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია, კორპორაციათა ფინანსები, საინფორმაციო ტექნოლოგიები 1, 2 და ა.შ. შუალედური გამოცდა მოიცავს ტესტს, ესსეს, ამოცანას;

1.1.2 მთელ რიგ სასწავლო კურსების მაგ. რაოდენობრივი მეთოდები, ეკონომიკის პრინციპები 1, 2, ბუღალტერიის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის მენეჯმენტი, საფინანსო ანალიზის რაოდენობრივი საფუძვლები და სხვ. სილაბუსებში მითითებულ სწავლების მეთოდებს შორის არის: სწავლების უნარი ისტორიების კითხვისა და მოყოლის თანხლებით (Teaching Proficiency through Reading and Storytelling); ფიზიკური რეაგირების მეთოდი (Total Physical Response); ბუნებრივი მიდგომა (Natural Approach); ჩუმი მეთოდი (Silent Way); აუდიო-ვიზუალური მეთოდი; გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი (The Grammar Translation Method); აუდიოლინგვისტური მეთოდი (Audio-lingual method). სილაბუსების მიხედვით სწავლის პროცესში გამოიყენება აღნიშნული მეთოდებიდან უმეტესი. აღნიშნული მეთოდები არ არის მოხსენიებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებში;

1.1.3 სასწავლო კურსების საინფორმაციო ტექნოლოგიები 1-ში და 2-ის მიზანი ერთიდაიგივეა;

1.1.4 სილაბუსების სწავლის შედეგები და შედეგების რუკის მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მაგ. სასწავლო კურსში - აკადემიური წერა არ იყო იდენტური შეფასება, ამის დადასტურება შესაძლებელი იყო ექსპერტთა მიერ ცენტრში წარმოდგენილი დანართების საფუძველზეც. ამასთან, ის რომ შეფასების კრიტერიუმები იყო მსგავსი თითქმის ყველა სასწავლო კურსში, განპირობებული იყო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სურვილით, რომ ერთიან ფორმატში წარმოედგინათ პროგრამის განმახორციელებელ პირებს სილაბუსები. სხვადასხვა სილაბუსში მსგავსი შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების არსებობა არ შეიძლება განხილულიყო ავტორიზაციის სტანდარტთან რაიმე სახის შეუთავსებლობის მაგალითად. სილაბუსში მოყვანილი ტესტი, ესსე თუ ამოცანა გულისხმობდა სტუდენტის მიერ გარკვეული დავალების შესრულებას. სხვადასხვა საგანში ღია კითხვა, ესსე, ტესტი თუ ამოცანა იყო სხვადასხვა შინაარსის და მიუხედავად იმისა, რომ კომპონენტები ერთნაირი იყო, თითოეულ საგანში დავალებები დგებოდა კონკრეტული საგნის შინაარსიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში ექსპერტის ვალდებულება იყო დაეფიქსირებინა, არსებობდა თუ არა კონკრეტულ სილაბუსში შეფასების კომპონენტები და არ შესულიყო მის შინაარსობრივ განხილვაში, რაც წარმოადგენდა აკრედიტაციის სტანდარტს. ამასთან, საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) აკრედიტაციის ექსპერტების მიერ დადებითად შეფასდა და 2014 წლის დეკემბერში მიიღო აკრედიტაცია. ექსპერტებს არ გამოუთქვამთ გამოყენებულ მეთოდებთან და შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით არანაირი განსხვავებული მოსაზრება და რეკომენდაცია.

სასწავლო პროგრამაში მითითებული მეთოდების ჩამონათვალი არ იყო ამომწურავი. შესაბამისად, სილაბუსში მითითებული მეთოდები არ მოდიოდა შეუსაბამობაში პროგრამის მოთხოვნებთან. ექსპერტის ვალდებულებას წარმოადგენდა, დაეფიქსირებინა, არსებობდა თუ არა კონკრეტულ პროგრამასა თუ სილაბუსში მეთოდებზე მითითება და არ შესულიყო მის შინაარსობრივ განხილვაში, რაც წარმოადგენდა აკრედიტაციის სტანდარტს. გარდა ამისა, აღნიშნული რეკომენდაციის გაზიარება მარტივად იყო შესაძლებელი ტექნიკური შესწორების შეტანით.

სასწავლო კურსის საინფორმაციო ტექნოლოგიები 2-ის მიზანში, ახალ ფორმაში გადატანისას გაპარულ იქნა ტექნიკური ხასიათის ხარვეზი (MS World, MS Exsel) - ის ნაცვლად უნდა მითითებულიყო (MS PowerPoint, MS Access) და ის, რომ აღნიშნული მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ხარვეზს წარმოადგენდა, დასტურდებოდა ამავე სილაბუსების განსხვავებული სწავლის შედეგებით, შინაარსითა და ლიტერატურით.

სილაბუსში მოცემული სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუქაში არსებული განსხვავება განპირობებული იყო პროგრამის ახალ ფორმატში გადატანისას არსებული ტექნიკური პრობლემებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანების მე-10 მუხლი ითვალისწინებდა სწავლის შედეგების რუქის მიზანშეწონილობას და არა სავალდებულობას. სწავლის შედეგების რუქა არ იყო სავალდებულო არც დაწესებულების რექტორის 2015 წლის 20 იანვრის ბრძანებით №01-08/09 დამტკიცებულ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოთი განსაზღვრული სასწავლო გეგმის ფორმით. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და განახორციელა შესაბამისი ჩასწორება სწავლის შედეგების არსებულ რუქაში.

სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების იდენტურობასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ ავტორიზაციის სტანდარტი მოითხოვდა, შეფასების

კრიტერიუმების შემუშავებისას, გათვალისწინებული ყოფილიყო თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სასწავლო კურსებში მსგავსი შეფასების კრიტერიუმების შემუშავებით, არ ირღვეოდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, თუმცაღა შესაძლებელი იყო ექსპერტთა რეკომენდაციის გაზიარება.

ექსპერტის განცხადებით, **1.2** საბაკალავრო პროგრამის - **ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)**, გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1.2.1 პროგრამაში და სილაბუსებში დამატებითი გამოცდის შესახებ არ არის ინფორმაცია;

1.2.2 სასწავლო კურსის სილაბუსში - ბიზნეს ინგლისური, სტუდენტი ფასდება 100 ქულით: აქტიურობა 20 ქულა, შუალედური შეფასება 40 ქულა (ორი შუალედური წერა, თითო შუალედური 20-20 ქულიანია). საბოლოო გამოცდა 40 ქულა. თუმცა, შემდეგ უკვე პირველი შუალედური გაწერილია კომბინირებული სახით: წერა/ზეპირი და საუბარია მხოლოდ ზეპირ ფორმაზე, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალურ პრეზენტაციას და ფასდება 20 ქულით. მეორე 20 ქულა აღარ არის გაწერილი. აქტიურობის ქულები (20 ქულა) სწორად არ არის დიფერენცირებული. 1 და 0 ქულა იდენტურია. (1 ქულა: იგი არასოდეს იყო მომზადებული; არ ჰქონდა დაწერილი დავალებები. 0 ქულა: იგი არასოდეს იყო მომზადებული; არ ჰქონდა დაწერილი დავალებები). დასკვნითი სემესტრული გამოცდა კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ტარდება კომბინირებული სახით წერა და ზეპირი (20ქულა -წერა, 20 ქულა-ზეპირი). წერილობითი გამოცდა ტარდება ტესტებით, რომელიც შედგება ღია და დახურული ტიპის კითხვებისაგან. კითხვათა რაოდენობა შეადგენს 100, რომელიც დაიყვანება 20 ქულამდე. ქულები არ არის ჩაშლილი;

1.2.3 სასწავლო კურსის სილაბუსებში - ბიზნესის შესავალი, მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და პროექტების მენეჯმენტი - სამუშაო ჯგუფებში აქტიური მონაწილეობა ფასდება 5 ქულით (ყველა სამუშაო ჯგუფში აქტიური მონაწილეობა ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით, საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი აქტიური მონაწილეობა - 3 ქულით, ნახევარზე ნაკლები აქტიური მონაწილეობა - 2 ქულით, იშვიათად აქტიური მონაწილეობა - 0 ქულით). სასწავლო კურსის სილაბუსში - აკადემიური წერა პრაქტიკული სამუშაოს შესრულება ფასდება 15 ქულით, საიდანაც 4-6 ქულა გათვალისწინებულია იმ შემთხვევაში, როდესაც დავალების უმეტესი ნაწილი შეცდომით არის შესრულებული.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება ვერ გაიზიარებდა ექსპერტთა პირველ რეკომენდაციას აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით, რადგანაც დამატებითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოცემული იყო საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელ დებულების 30-ე მუხლის მე-14 პუნქტში, რომელიც საერთო იყო ყველა საგანმანათლებლო პროგრამებსა და სილაბუსებში. არც აღნიშნული დებულება, არც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[23] პუნქტი ჰ[5] და არც ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის №188 ბრძანების მე-11 და მე-5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც შეეხება სილაბუსებს და პროგრამებს არ ითვალისწინებდა პროგრამებსა და სილაბუსში დამატებითი გამოცდების შესახებ ინფორმაციის განთავსების ვალდებულებას.

სასწავლო კურსის სილაბუსში - ბიზნეს ინგლისური, გაპარული იყო ერთი ტექნიკური შეცდომა, სადაც ,,ორი შუალედური წერის" ნაცვლად უნდა წერებოდა ,,ორი შუალედური შეფასება". დანარჩენ შემთხვევაში მოცემული იყო ან კომპონენტის აღწერა ან არასწორად იყო ინტერპრეტირებული სილაბუსის მონაცემები. რაც შეეხებოდა 100 ტესტის 20 ქულით შეფასების ჩაშლის საკითხს, თითოეული

ტესტი ფასდებოდა 0,2 ქულით, მისი შემდგომი ჩაშლის არც საჭიროება და არც აუცილებლობა არ არსებობდა.

ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ მესამე მოსაზრებასთან მიმართებით, რომელიც შეეხებოდა შეფასების კრიტერიუმებს, ამ შემთხვევაში ექსპერტის ვალდებულება იყო დაეფიქსირებინა, არსებობდა თუ არა კონკრეტულ სილაბუსში შეფასების კრიტერიუმები და არ შესულიყო მის შინაარსობრივ განხილვაში, რაც წარმოადგენდა აკრედიტაციის სტანდარტს. ამასთან, ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება, ამ სახით აკრედიტაციის ექსპერტების მიერ დადებითად შეფსდა და 2014 წლის ივნისში მიიღო აკრედიტაცია. ექსპერტებს არ გამოუთქვამთ შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით არანაირი განსხვავებული მოსაზრება და არც რეკომენდაცია. აღნიშნული პროგრამის შემდგომი მოდიფიკაცია აღარ განხორციელებულა და მასზე არ სწავლობდა არც ერთი სტუდენტი.

საგანმანათლებლო პროგრამაში და სილაბუსებში დამატებითი გამოცდის შესახებ ინფორმაციის არ მითითებასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტი საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში არ უნდა ეძებდეს ამის თაობაზე მინიშნებას, როდესაც საუბარია გამჭვირვალე შეფასების სიტემის აუცილებლობაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაში დამატებითი გამოცდის შესახებ მითითების სავალდებულოობაზე არსად იყო მითითებული, ხოლო რაც შეეხებოდა მის სარეკომენდაციო ხასიათს, დაწესებულება გაითვალისწინებდა ექსპერტთა მოსაზრებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ გაუგებარი იყო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია, რომელიც დააფიქსირეს მათ ბიზნეს ინგლისურის სასწავლო კურსის სილაბუსთან დაკავშირებით. კერძოდ, რას გულისხმობდა მათი მოსაზრება, ავტორიზაციის ექსპერტების მიერ სილაბუსების მონაცემების არასწორად ინტერპრეტირების თაობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრიდან მოხდა ექსპერტების მიერ წარდგენილი დანართების გამოთხოვა და სწორედ ამ დანართებს ეფუძნებოდა მათი პოზიცია. შესაძლოა, ექსპერტების მიერ ვიზიტის დროს მოხდა დაწესებულების ძველი სილაბუსების შემოწმება.

ექსპერტის განცხადებით, **1.3** საბაკალავრო პროგრამის - **საერთაშორისო ურთიერთობები**, გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1.3.1 პროგრამაში არ არის მითითებული სწავლის ხანგრძლივობა სემესტრულად;

1.3.2 პროგრამაში არსებული სასწავლო გეგმა არ შეესაბამება თავად დაწესებულების მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის ფორმას. წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო გეგმაში არ არის მითითებული პერსონალის მონაცემები (ლექტორის გვარი, სახელი და სტატუსი);

1.3.3 რამდენიმე საგნის სილაბუსში („მეოცე საუკუნის დიპლომატია", „მსოფლიო პოლიტიკის საფუძვლები", „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები") დეტალურადაა გაწერილი შეფასების თითოეული კომპონენტის კრიტერიუმები, მაგრამ არ არის მითითებული ქულები;

1.3.4 საგნის „შესავალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში" სილაბუსში არ არის გაწერილი სწავლის შედეგები;

1.3.5 საგნის „NATO-ს უსაფრთხოების პოლიტიკა" სილაბუსში შეფასების გრაფაში გაწერილი კომპონენტების ქულები (სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა, ჩართულობა - 10 ქულა, პრეზენტაცია (I-II) – 10+10 ქულა, შუალედური გამოცდა - 30 ქულა, დასკვნითი გამოცდა - 30 ქულა) ჯამში გვაძლევს 90 ქულას, 100-ის ნაცვლად;

1.3.6 მთელი რიგი საგნების სილაბუსებში („შესავალი ევროპისმცოდნეობაში", „პოლიტიკის ანალიზი", „კლასიური პოლიტიკური თეორიები", „შედარებითი სახელმწიფო მართვა", ,,მსოფლიო პოლიტიკის საფუძვლები", ,,ერები და ნაციონალიზმი") არ არის მინიშნებული, როდის ტარდება ქვიზები, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პრეზენტაციები, ან როდის ხდება ესსეს წარდგენა. მაგ.,

სასწავლო კურსში „ერები და ნაციონალიზმი“ შეფასების გრაფაში აღნიშნულია, რომ ქვიზებზე განსაზღვრულია 28 ქულა და რომ თითოეული ქვიზი ფასდება 4 ქულით. ანუ სულ 7 ქვიზი უნდა ჩატარდეს მთელი სემესტრის განმავლობაში, თუმცა კონკრეტულად როდის ტარდება ეს ქვიზები სილაბუსიდან არ ჩანს. ანალოგიური სიტუაციაა საგნის „შესავალი ევროპისმცოდნეობაში“. გაურკვეველია, როდის ტარდება სილაბუსით განსაზღვრული პრეზენტაცია (10 ქულა), ან როდის ხდება ესსეს შეფასება (20 ქულა);

1.3.7 საგნის სილაბუსში „ახალი და უახლესი ისტორიის საფუძვლები“ თხუთმეტივე ლექციაზე გაწერილია სალექციო თემები და არ არის მითითებული, როდის ტარდება შუალედური გამოცდები ან/და როდის ხდება რეფერატის წარდგენა.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მოქმედი რეგულაციების თანახმად, დაწესებულებას არ მოეთხოვებოდა პროგრამაში სწავლის ხანგძლივობის მითითება სემესტრულად, შესაბამისად, ვერ მოხდებოდა ავტორიზაციის ექსპერტთა აღნიშნული მოსაზრების გაზიარება.

აღნიშნულმა პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2014 წლის დეკემბრის თვეში. იმ დროს მოქმედი რეგულაციებით სასწავლო გეგმაში არ იყო სვალდებულო ლექტორის სტატუსის, სახელისა და გვარის მითითება. ახალი სახით სასწავლო გეგმის ფორმის სარეკომენდაციო მოდელი განისაზღვრა რექტორის 2015 წლის 20 იანვრის ბრძანებით №01-08/09. აღნიშნული ცვლილება ჯერ არ შეხებია საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმას. თუმცაღა, მიმდინარე სემესტრის ბოლომდე, დამთავრდებოდა ახალ ფორმატზე გადასვლის პროცესი. ამასთან, ამგვარ მოთხოვნას არ ითვალისწინებდა ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანების მე-10 მუხლი, რომელიც ეხებოდა სასწავლო გეგმის კომპონენტებს. პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ჯერ არ განხორციელებულა, ამჟამად არ სწავლობდა არც ერთი სტუდენტი.

ექსპერტთა მიერ დასახელებულ სილაბუსებში გაწერილი იყო თითოეული კომპონენტის შეფასების ქულა და შეფასების კრიტერიუმები. ამ შემთხვევაში ექსპერტის ვალდებულება იყო დაეფიქსირებინა, არსებობდა თუ არა კონკრეტულ სილაბუსში შეფასების კრიტერიუმები და არ უნდა შესულიყო მის შინაარსობრივ განხილვაში, რაც წარმოადგენდა აკრედიტაციის სტანდარტს. ამასთან, საბაკალავრო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები ამ სახით ექსპერტების მიერ დადებითად შეფასდა და მიიღო აკრედიტაცია 2014 წლის დეკემბრის თვეში. აღნიშნული პროგრამის შემდგომი მოდიფიკაცია აღარ განხორციელებულა და მასზე არ სწავლობდა არც ერთი სტუდენტი.

საგანი - „შესავალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“ წარმოადგენდა საუნივერსიტეტო სასწავლო კურსს, შესაბამისად ის შეთავაზებული იყო ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის. მასში გათვალისწინებული იყო სწავლის შედეგები. ეს სილაბუსი განთავსებული იყო დაწესებულების ვებგვერდზეც. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის პირველსავე დღეს განემარტა ამის თაობაზე.

საგნის „NATO-ს უსაფრთხოების პოლიტიკა“ სილაბუსში ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს. პროგრამის შეფასების ნაწილში გაწერილი იყო, რომ შეფასების სისტემა არის 100 ქულიანი. ეს საკითხი იყო ადვილად გამოსწორებადი. ამასთან, პროგრამა არ იყო მოქმედი და მასზე არ სწავლობდა არც ერთი სტუდენტი.

სილაბუსში ,,ერები და ნაციონალიზმი“ (ისევე, როგორც სხვა დასახელებულ სილაბუსებში) სემესტრის მანძილზე გათვალისწინებული იყო 7 ქვიზი და 6 სემინარი (აქ არ შედიოდა პირველი კვირა, როდესაც არ ხდებოდა გამოკითხვა და შუალედური გამოცდის კვირა). დარჩენილი 13 შეხვედრიდან სტუდენტი მზად უნდა იყოს, როგორც ზეპირი, ისე წერითი გამოკითხვისთვის. ამასთან აღსანიშნავია,

რომ აღნიშნულ სილაბუსებში გაწერილი იყო თითოეული კომპონენტის შეფასების ქულა და შეფასების კრიტერიუმები.

საგნის სილაბუსში „ახალი და უახლესი ისტორიის საფუძვლები" მითითებული იყო: ,,შუალედური გამოცდები ჩატარდება მე-7 და მე-13 კვირაში სემინარისთვის განკუთვნილ დროს; რეფერატის პრეზენტაცია მოხდება მე-14 და მე-15 კვირაში.

ექსპერტის განცხადებით, **1.4** საბაკალავრო პროგრამის - **ინგლისური ფილოლოგია**, გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1.4.1 სილაბუსები: ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1, 2, 3, 4. სილაბუსებში მითითებულია 2 შუალედური წერა - 30 ქულიანი ჯამში (15+15). სასწავლო კურსის შინაარსში მითითებულია ერთი შუალედური წერა, რომელიც ფასდება 25 ქულით;

1.4.2 სილაბუსი: ეგზისტენციალიზმი; ინგლისური რომანი - შეფასებაში მითითებულია 2 შუალუდური გამოცდა (10+10). სასწავლო კურსის შინაარსში მითითებულია მხოლოდ 1 შუალედური გამოცდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნულ სილაბუსებში გაპარული იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, რომლებიც იყო ადვილად გამოსწორებადი. ამასთან, დასახელებულ საგნებში ტარდებოდა ორი შუალედური გამოცდა.

ექსპერტის განცხადებით, **1.5** სამაგისტრო პროგრამის - **ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)**, გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1.5.1 სილაბუსებში და პროგრამის სასწავლო გეგმაში მოცემულია მხოლოდ სრული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები. არ არის მითითებული სწავლების ორგანიზების თავისებურებები;

1.5.2 ცალკეულ სილაბუსებში (მაგ. სამაგისტრო ნაშრომი, საკურსო პროექტი (პერსონალური) და საკურსო პროექტი (ჯგუფური), ინვესტიციების ანალიზი) მოცემულია შეფასების კომპონენტების მხოლოდ მაქსიმალური ქულები. სამაგისტრო ნაშრომში ჩაშლილია მხოლოდ დაცვის შეფასებები, საკურსო პროექტი (პერსონალური)-ის და საკურსო პროექტი (ჯგუფური)-ის სილაბუსებში ჩაშლილია მხოლოდ კრიტერიუმის „პროექტის ძირითადი ნაწილის" შეფასებებები;

1.5.3 საკურსო პროექტი (პერსონალური)-ს და საკურსო პროექტი (ჯგუფური)-ს სილაბუსებში არ არის ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის (სწავლების მეთოდებში მითითებულია წიგნზე მუშაობის მეთოდი) და შინაარსის გრაფა;

1.5.4 ცალკეულ სილაბუსებში შეფასების გამჭირვალობის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა უფრო დაკონკრეტდეს და ქულობრივად ჩაიშალოს შეფასების კრიტერიუმები. მაგ.: სტატისტიკური ანალიზი: „თითოეული ამოცანის მაქსიმალური შეფასებაა 5 ქულა. ამოცანის ამოხსნა მოითხოვს სიტუაციის სწორად გააზრებას და სწორი განმარტებების ჩამოყალიბებას (ფასდება 0-1-2 ქულით). ამას გარდა, ამოცანის ამოხსნისას საჭიროა შესაბამისი გამოთვლების და დასაბუთებების წარმოდგენა (გამოთვლების სისწორისა და დასაბუთების სისრულის მიხედვით ამოცანის შეფასებას ემატება 0-1-2-3 ქულა)";

1.5.5 სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსის მარკეტინგული ანალიზის ერთადერთ ძირითად ლიტერატურას წარმოადგენს Marketing Management, 14/E Philip Kotler Kevin Keller 2014, 816 გვერდი. იგივე სახელმძღვანელო 12/E,(Kotler Ph./ Keller K.L.-Marketing Management/ Pearson Prentice Hall/ 12th edition) არის საბაკალავრო პროგრამის ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) სასწავლო კურსის მარკეტინგის მენეჯმენტის ერთადერთი ძირითადი ლიტერატურა. სილაბუსებში შესასწავლ თემებთან სახელმძღვანელოს გვერდები მითითებული არ არის, ამიტომ სილაბუსებიდან ვერ დგინდება შესასწავლი მასალის მოცულობა. მარკეტინგული ანალიზის პედაგოგის ინფორმაციით, იგი სასწავლო პროცესში იყენებს ამ სახელმძღვანელოს მე-15-ე გამოცემას, რომელსაც

დამატებული აქვს ქეისები და სახელმძღვანელოს გამოცემა სილაბუსში შეცდომითაა მითითებული, თუმცა დაწესებულების ბიბლიოთეკაში არ მოიძებნა იგი.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანების მე-5 მუხლი განსაზღვრავდა, რომ პროგრამის შინაარსი უნდა მოიცავდეს სასწავლო გეგმას, სწავლების თავისებურებების მითითებით. მე-10 მუხლი კი განსაზღვრავდა, რომ სასწავლო გეგმაში ასახული უნდა იყოს კომპონენტის სახელწოდება, მოცულობა კრედიტებით და სტუდენტის დატვირთვის საახეები. პრაქტიკულად იგივე მოთხოვნები იყო გათვალისწინებული დაწესებულების რექტორის 2015 წლის 20 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში, რომლის მიხედვითაც იყო დამტკიცებული სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო ფორმა. გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებდა სასწავლო კურსებისა და კრედიტების განაწილებას ტრიმესტრების მიხედვით. გაუგებარი იყო, სწავლების ორგანიზების კიდევ რა თავისებურების გათვალისწინებას გულისხმობდა ექსპერტი, ან რომელი ნორმატიული და შიდა საუნივერსიტეტო აქტით იყო გათვალისწინებული ეს მოთხოვნა.

ექსპერტთა მიერ დასახელებულ სილაბუსებში გაწერილი იყო თითოეული კომპონენტის შეფასების ქულა და შეფასების კრიტერიუმები. ამ შემთხვევაშიც ექსპერტის ვალდებულება იყო დაეფიქსირებინა, არსებობდა თუ არა კონკრეტულ სილაბუსში შეფასების კრიტერიუმები და არ შესულიყო მის შინაარსობრივ განხილვაში. აღნიშნულმა პროგრამამ აკრედიტაცია მოიპოვა 2014 წლის ივნისის თვეში, რის შემდეგაც არ მომხდარა მისი მოდიფიკაცია.

საკურსო პროექტების სილაბუსებში, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურისა და შინაარსის გრაფის ქონასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული საგნების მიზანს წარმოადგენდა „შესაბამისი სასწავლო კურსის გაღრმავებული ათვისება. სასწავლო კურსში დასახული პრობლემების შესწავლა და დამატებითი ლიტერატურისა და სხვა მასალების გამოყენებით ცოდნის გაღრმავება...". ამასთან ამ საგნების წინაპრობა იყო „შესაბამისი სასწავლო კურსი", რაც თავისთავად გულისხმობდა შესაბამისი სასწავლო კურსის სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის გამოყენებას.

ცალკეულ სილაბუსებში, შეფასების კრიტერიუმების დაკონკერტებასა და ქულობრივ ჩაშლასთან მიმართებით, მან აღნიშნა, რომ ექსპერტები ამ შემთხვევაშიც შედიოდნენ შეფასების კრიტერიუმების შინაარსობრივ განხილვაში, რაც წარმოადგენდა აკრედიტაციის სტანდარტს.

სასწავლო კურსის - მარკეტინგული ანალიზის ერთადერთ ძირითად ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოს გვერდები მითითებული იყო საბაკალავრო პროგრამის სილაბუსში. განსხვავებული იყო დასახელებული საგნების სახელწოდება, შინაარსი, მიზნები და შედეგები. ამასთანავე, საბაკალავრო პროგრამაში „ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი)" - სასწავლო კურსი მარკეტინგის მენეჯმენტი წარმოადგენდა არჩევითი მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსს. გარდა ამისა, ავტორიზაციის სტანდარტით საერთოდ არ მოითხოვებოდა თემატიკის გვერდების მითითება და ამასთანავე საერთო ჯამში მოცულობის ჯერ დაფიქსირება ხოლო მერე განსაზღვრება.

ზემოთ დასახელებული სახელმძღვანელოს მე-12 და მე-14 გამოცემა, რაც სილაბუსში იყო მითითებული, ბიბლიოთეკაში არსებობდა ექსპერტთა ვიზიტის დროს და ეს დასტურდება ექსპერტთა შეფასებით. რაც შეეხება მე-15 გამოცემას, ის დაწესებულებაში არსებობდა ელექტრონული ვერსიის

სახით, არ იყო დარეგისტრირებული ბიბლიოთეკის კატალოგში, თუმცა ხელმისაწვდომი იყო ექსპერტთა ვიზიტის დროსაც.

საბჭოს წევრი, ბორის ლეჟავა დაინტერესდა, თუ რატომ ისწავლებოდა დაწესებულებაში ბაკალავრიატის საფეხურზე სასწავლო კურსი, მარკეტინგის მენეჯმენტი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მარკეტინგის მენეჯმენტის სასწავლო კურსი წარმოადგენდა შესავალს მარკეტინგში და იყო არჩევითი საგანი.

ექსპერტის განცხადებით, **1.6** სამაგისტრო პროგრამის - **ადამიანური რესურსების მართვა**, გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1.6.1 პროგრამაში არ არის მითითებული სწავლის ხანგრძლივობა სემესტრულად;

1.6.2 პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად მინიშნებულია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები. „შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის ფარგლებში". პროგრამაში არსადაა გაწერილი, თუ როგორ, რა ფორმით ხდება სპეციალობასა და ინგლისურში „ცოდნის ზოგადი დონის" გარკვევა. პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს განგვიმარტა, რომ ისინი ორივე საგანში ატარებენ გამოცდას წინაწარ მომზადებული საკითხების მიხედვით, თუმცა არც ამ საკითხების ჩამონათვალი არ წარმოუდგენიათ;

1.6.3 პროგრამაში ორი სილაბუსია ერთი და იგივე სახელწოდებით - „მონაცემთა ანალიზი: დასკვნითი სტატისტიკა და SPSS". შინაარსის გაცნობის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ეს ორი სხვადასხვა საგანია; ამასვე ადასტურებს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ საგანს აქვს წინაპირობა „მონაცემთა ანალიზი: დასკვნითი სტატისტიკა და SPSS 1". ამდენად, ორივე სასწავლო კურსი შესაბამისად უნდა დაინომროს. საგნის სილაბუსში „მონაცემთა ანალიზი: დასკვნითი სტატისტიკა და SPSS" მექანიკური ხასიათის შეცდომაა: მე-15 კვირაში „დასკვნითი გამოცდა #2"-ის ნაცვლად უნდა იყოს „შუალედური გამოცდა #2".

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამაში სწავლის ხანგრძლივობის სემესტრულად მითითებასთან დაკავშირებით, უკვე გაეცა დაწესებულების მხრიდან პასუხი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის განხილვისას.

პროგრამის თაახმად, „შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის ფარგლებში (B2 დონე)". არჩეულ სპეციალობაში საგამოცდო საკითხების გამოქვეყნება ხდება გამოცდებამდე ერთი თვით ადრე. ამდენად, ექპერტთა ვიზიტის პერიოდში ამ საკითხების გამოქვეყნების ვალდებულება დაწესებულებას არ გააჩნდა. ამასთან, სამაგისტრო პროგრამა „ადამიანური რესურსების მართვა" ამ სახით აკრედიტაციის ექსპერტების მიერ დადებითად შეაფასდა და მიიღო აკრედიტაცია 2014 წლის ივნისის თვეში. ექსპერტებს არ გამოუთქვამთ მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით არანაირი განსხვავებული მოსაზრება და არც რეკომენდაცია. აღნიშნული პროგრამის შემგომი მოდიფიკაცია აღარ განხორციელებულა.

ორ სილაბუსში, რომლებსაც ერთიდაიგივე სახელწოდება - „მონაცემთა ანალიზი: დასკვნითი სტატისტიკა და SPSS" ჰქონდათ, დაშვებული იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, რომლებიც გამოსწორებულ იქნა.

ექსპერტის განცხადებით, **1.7** სადოქტორო პროგრამის - **ბიზნესის ადმინისტრირება**, გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1.7.1 ცალკეულ კომპონენტებში (პირველი სემინარი, მეორე სემინარი, სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი, ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა, თეორიული/ემპირიული კვლევა (კოლოქვიუმი -1, 2, 3), დისერტაციის დასრულება და დაცვა) მოცემულია კომპონენტის აღწერა, არ ჩანს როგორ ნაწილდება/განისაზღვრება ხელმძღვანელთან შეხვედრების, კონსულტაციის საათები. მაგ. სასწავლო კურსის „პირველი სემინარი"-ს აღწერაში არის მხოლოდ ასეთი ჩანაწერი „სასემინარო ნაშრომს დოქტორანტი ახორციელებს სამეცნიერო ხელმძღვანელის ან უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობით.";

1.7.2 სასწავლო კურსში „პროფესორის ასისტენტობა“ კრედიტის მიღება შესაძლებელია ორი გზით: 1. პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის, სამეცნიერო ხელმძღვანელის ან უნივერსიტეტის სხვა პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობით, მეცადინეობების - ლექციების, სემინარების, პრაქტიკუმების ჩატარებას, შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადებას, სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას, საბაკალავრო ნაშრომების რეცენზირებას და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობას; 2. დოქტორანტი, რომელიც ამავდროულად არის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ან საქართველოს სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი, ასისტენტი ან მოწვეული სპეციალისტი და უძღვება სასწავლო კურსს, მისთვის პროფესორის ასისტენტობა გამოიხატება სამეცნიერო ხელმძღვანელის ან უნივერსიტეტის სხვა პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობით ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოს, ამოცანათა (კაზუსთა) კრებულის ან დამხმარე ლიტერატურის და სხვ. მომზადებაში ან სამეცნიერო ხელმძღვანელის ან უნივერსიტეტის სხვა პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობით ელექტრონული სასწავლო კურსის მომზადებაში (ე. წ. LMS – Learning Management System – Moodle). ამ შემთხვევისთვის არ არის გაწერილი დოქტორანტის საათობრივი დატვირთვა;

ორივე შემთხვევაში დოქტორანტი ფასდება 100/100 ქულით. პირველი გზის მიხედვით - დოქტორანტმა უნდა განახორციელოს ერთი საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა 16 საათი. დაწესებულების ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამების სასწავლო გეგმაში არ არის საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი. ვიზიტის პერიოდში შესწორება შევიდა სილაბუსში და საბაკალავრო ნაშრომი შეიცვალა ჯგუფური და პერსონალური საკურსო პროექტის ხელმძღვანელობით.

ამ გზით დოქტორანტის შეფასების კომპონენტებით არ დგინდებოდა რომელი შეფასება მოიაზრებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების მიხედვით სტუდენტის გაწეული შრომის შესაფასებლად განსაზღვრული შუალედურ შეფასებად და დასკვნითი გამოცდის შეფასებად.

დაწესებულებამ ცვლილება განახორციელა შეფასებაში და წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით შეფასებას შემდეგი სახე აქვს: ჩატარებული სემინარის/პრაქტიკუმის შეფასება (5X8=40 ქულა), ჩატარებული ლექციების შეფასება (5X5=25 ქულა), პროფესორის ლექციებზე დასწრება (1X5=5 ქულა) წარმოადგენს დოქტორანტის მიმდინარე შეფასებას, ხოლო შუალედური/დასკვნითი გამოცდებისათვის მომზადებული საკითხების შეფასება (5X2=10) ქულა, შუალედური/დასკვნითი გამოცდის გასწორებული ნაშრომების შეფასება (5X2=10 ქულა), ჯგუფური/პერსონალური საკურსო პროექტის ხელმძღვანელობის შეფასება (5X2=10) ქულა წარმოადგენს დოქტორანტის დასკვნით შეფასებას;

1.7.3 პროფესორის ასისტენტობის კრედიტების დაგროვება როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შესაძლებელია ასევე „ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოს, ამოცანათა (კაზუსთა) კრებულის ან დამხმარე ლიტერატურის და სხვ. მომზადება“-ის გზით. დასკვნითი შეფასებისთვის „დოქტორანტი შესრულებულ სამუშაოს არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა წარუდგენს კომპონენტის ხელმძღვანელსა და კომპონენტის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (რეცენზეტს).“ სილაბუსის მიხედვით ამ გზით პროფესორის ასისტენტობის შედეგია ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მომზადებული მასალა და არ გულისხმობს სტუდენტებთან ურთიერთობას (შეფასების კრიტერიუმია: „ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მომზადებული მასალა ზედმიწევნით კარგად არის შესრულებული.“), შესაბამისად, დოქტორანტი ვერ გავა სილაბუსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე:

პრაქტიკულ მეცადინეობაზე ლექციის თემის ძირითადი ასპექტების მიმოხილვას, სტუდენტთა მიერ ლექციის თემის ცოდნისა და გაცნობიერების დონის შემოწმებას, საკითხების ანალიზის პროცესში სტუდენტთა ჩართვას /თანამონაწილეობას/;

პრეზენტაციის პროცესის წარმართვას, პრეზენტაციის შემდეგ სტუდენტთა დისკუსიის სტიმულირებას, საპრეზენტაციო თემის განხილვის შემდეგ პრობლემის შეჯამებას, ასევე პრეზენტაციის წარმომდგენის /მომხსენებლის/ და დისკუსიის მონაწილე სხვა სტუდენტთა მსჯელობების კრიტიკულ ანალიზს;

სტუდენტებთან თემატურ პოლემიკაში ჩართვას, ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენას.

1.7.4 სასწავლო კომპონენტის „დისერტაციის დასრულება და დაცვა" შუალედური შეფასება ხორციელდება შემფასებლების (რეცენზენტების) მიერ (60 ქულა). სილაბუსში არ არის ჩაშლილი შემფასებლების მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმი „მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი";

1.7.5 იმ შემთხვევაში, თუ ორიდან ერთი შემფასებელი (რეცენზეტი) უარყოფითად აფასებს სადისერტაციო ნაშრომს, სადისერტაციო საბჭო ნაშრომის შესაფასებლად, 10 კალენდარული დღის განმავლობაში, ნიშნავს მესამე შემფასებელს (რეცენზენტს). იმ შემთხვევაში, თუ მესამე შემფასებელიც (რეცენზენტიც) უარყოფითად აფასებს წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომს, დოქტორანტი დაცვაზე არ დაიშვება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების მიხედვით „დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა.";

1.7.6 სილაბუსის მიხედვით სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

1.7.7 ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა 2014 – 2015 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები: სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და დამსაქმებელთა მიერ შევსებული კითხვარები. თუმცა, დაწესებულებამ არ წარმოადიგნა კითხვარების დამუშავების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმები ცალკეულ პროგრამებთან დაკავშირებით. მოთხოვნის შემდეგ მათ წარმოადგინეს მხოლოდ 2014 წლის იანვარში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები; უკანასკნელი, ანუ 2015 წლის ანალოგიური დოკუმენტი დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სილაბუსის ფორმა და მისი კომპონენტები განისაზღვრებოდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[23] პუნქტით. ასევე, სილაბუსის კომპონენტები განსაზღვრული იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანებით ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ''. გარდა ამისა, დაწესებულებას გააჩნდა რექტორის 2015 წლის 20 იანვრის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, რომლის მიხედვითაც დამტკიცებული იყო სილაბუსის სარეკომენდაციო ფორმა. არც ერთი ზემოთ აღნიშნული დოკუმენტის შინაარსი არ ავალდებულებდა სილაბუსის შემდგენელს, რომ სილაბუსში გაწერილი ყოფილიყო,თუ როგორ ნაწილდება/განისაზღვრება ხელმძღვანელთან შეხვედრების, კონსულტაციის საათები. შესაბამისად, დაწესებულება ვერ გაიზიარებდა ექსპერტთა მოსაზრებას ამასთან დაკავშრებით. ყველა ზემოაღნიშნული სილაბუსი იძლეოდა ინფორმაციას კომპონენტის კრედიტების, საერთო საათების, საკონტაქტო საათებისა და დამოუკიდებელი მეცადინეობების საათების შესახებ.

პროფესორის ასისტენტობის საათობრივი დატვირთვის გაანგარიშება როგორც პირველი, ისე მეორე შემთხვევისთვის დეტალურად იყო გაწერილი შესაბამის სილაბუსში. ექსპერტების დასკვნით, მეორე შემთხვევისთვის არ იყო გაწერილი დოქტორანტის საათობრივი დატვირთვა. მაშინ როცა სილაბუსში იყო აღნიშნული, რომ „დოქტორანტისთვის, რომელსაც ამავდროულად არის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ან საქართველოს სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი, ასისტენტი ან მოწვეული სპეციალისტი და უძღვება სასწავლო კურსს, პროფესორის ასისტენობისათვის განკუთვნილი კრედიტი განსაზღვრულია შემდეგი პრინციპით:

პროფესორის ასისტენტობა შეადგენს 10 კრედიტს ანუ 250 საათს (10X25=250), მათ შორის: 45 სთ სამეცნიერო ხელმძღვანელთან კონსულტაციებისთვის (მათ შორის „ონლაინ") და 330 სთ. დამოუკიდებელი მუშაობისთვის - შესაბამისი სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მარტივი სახელმძღვანელოს, ამოცანათა (კაზუსთა) კრებულის ან დამხმარე ლიტერატურის და სხვ. მომზადება". სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში საბაკალავრო საკურსო პროექტი შესაძლებელია შეიცვალოს საბაკალავრო ნაშრომით.

პროფესორის ასისტენტობა ფასდებოდა 9 კომპონენტის საფუძველზე. ამასთან, ნაწილი კომპონენტები ფასდებოდა სემესტრის განმავლობაში მიმდინარე შეფასების სახით, ხოლო ნაწილი აღნიშნული კომპონენტის დასრულებისას დასკვნით შეფასების სახით.

ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოს, ამოცანათა (კაზუსთა) კრებულის ან დამხმარე ლიტერატურის და სხვ. მომზადების გზით პროფესორის ასისტენტობა გამოიყენებოდა იმ დოქტორანტისთვის, რომელიც ამავდროულად იყო აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ან საქართველოს სხვა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი, ასისტენტი ან მოწვეული სპეციალისტი და უძღვებოდა სასწავლო კურსს. შესაბამისად, აღნიშნული დოქტორანტები სილაბუსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე გარდაუვლად გადიოდნენ.

რაც შეეხებოდა სილაბუსში ნახსენებ „სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (რეცენზენტს)", ამასთან დაკავშირებით განიმარტა, რომ გაპარული იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზი ("ხედმეტი იყო სიტყვა სამართალი) და უნდა ყოფილიყო „დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (რეცენზენტს)".

სილაბუსში მოცემული იყო სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ოცამდე კრიტერიუმი, რომლებიც მთლიანობაში განსაზღვრავდნენ მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილ წვლილს. ექსპერტის ვალდებულება იყო დაეფიქსირებინა, არსებობდა თუ არა კონკრეტულ სილაბუსში შეფასების კრიტერიუმები და არ შესულიყო მის შინაარსობრივ განხილვაში.

დაწესებულება ვერ დაეთანხმებოდა ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ. აღნიშნული ბრძანების მე-4 მუხლის მე-10 პუნქტი ადგენდა სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისთვის განსხვავებული შეფასების სისტემის დადგენის შესაძლებლობას, რაც ბუნებრივია გამომდინარეობდა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების განსხვავებული სპეციფიკით. ამასთან, შემფასებელთა ნახევარზე მეტის მიერ დადებითი შეფასების მიღება წარმოადგენდა დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობას და ემსახურებოდა მაღალი სტანდარტების დანერგვას სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თვალსაზრისით. აღნიშნული პრაქტიკა გამოიყენებოდა საქართველოში მოქმედ არაერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომლებიც ახორციელებდნენ აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამებს.

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასების გასაჩივრებასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ ავტორიზაციის არც ერთი სტანდარტით არ იყო განსაზღვრული გასაჩივრების უფლება.

კითხვარების დამუშავების შედეგად შესამუშავებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გამოკითხვის შედეგების ანალიზი ჯერ

დასრულებული არ იყო. თუმცა ავტორიზაციის სტანდარტი (1.8) ითხოვდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონოდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებდა სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამგვარი შეფასებს სისტემის არსებობა დადასტურებული იყო ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ, ხოლო ის გარემოება თუ რამდენად იყენებდა დაწესებულება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად შეფასების სისტემის შედეგებს, ამის დადასტურება შესაძლებელი იყო 2014 წლის იანვარში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზითა და რეკომენდაციებით, რაც ასევე იყო წარმოდგენილი დაწესებულების მიერ ვიზიტის განმავლობაში. შესაბამისად, დაწესებულება ვერ გაიზიარებდა ექსპერტთა აღნიშნულ შეფასებას.

საბჭოს სხდომაზე გაიმართა კამათი ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის იმის თაობაზე, რომ რიგი სილაბუსების შემთხვევაში სხვა მოსაზრება ჰქონდათ დაფიქსირებული ექსპერტებს დასკვნაში და განსხვავებული ინფორმაციის შემცველ სილაბუსებს ეფუძნებოდა დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია. შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრებით, განხორციელდა დაწესებულებიდან დანართის სახით წარმოღებული სილაბუსების ცვლილება.

დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, ვიზიტის პროცესში ექსპერტების მიერ შესაძლოა რიგი სილაბუსების არევა მოხდა და მათ მიერ შემოწმდა ძველი სილაბუსები.

ავტორიზაციის ექსპერტების თქმით, ვიზიტის პროცესში დაწესებულებამ მათ თავად მიაწოდა მოდიფიცირებული სილაბუსების ელექტრონული ვერსიები და მათი შეფასება სწორედ ამ სილაბუსებს ეყრდნობოდა. შესაბამისად, ვერ ექნებოდა ადგილი ძველი და ახალი სილაბუსების ერთმანეთში არევას. ამასთან, ექსპერტის თქმით დაწესებულებიდან მოხდა კომპაქტ დისკის (CD-R) წამოღება, რომელზეც დაფიქსირებული იყო ექსპერტთა ის შენიშვნები, რაც დასახელებული იყო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით და საკითხის გადაწყვეტის მიზნით შესაძლებელი იყო ამ კომპაქტ დისკის ნახვა.

თავმჯდომარის თქმით, უმჯობესი იქნებოდა საბჭოს სხდომაზე მხოლოდ არსებით გარემობებზე გამახვილებულიყო ყურადღება, რათა საბჭოს წევრები უკეთ გარკვეულიყვნენ რიგ საკითხებში. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც და მოუწოდეს ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შეეწყვიტათ კამათი.

საბჭოს წევრმა, ნინო სოზაშვილმა მიმართა კითხვით ექსპერტებს, თუ რატომ არ მოხდა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში იმ საკითხის დაფიქსირება, გადიოდა თუ არა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამის შედეგებზე.

ექსპერტთა განმარტებით, ამ საკითხის ასახვა დასკვნაში არასდროს ხდებოდა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ და არ განეკუთვნებოდა მათ კომპეტენციას.

ნინო სოზაშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და თხოვა მათ საბჭოს სხდომაზე დაეფიქსირებინათ ექსპერტული შეფასება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე.

ექსპერტის, ანა კლდიაშვილის თქმით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები გადიოდნენ შესაბამის შედეგებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს კითხვით, ჰქონდათ თუ არა შენიშვნები დაფიქსირებული დასკვნაში ავტორიზაციის სხვა სტანდარტებთან მიმართებით.

ექსპერტთა თქმით, ადამიანური რესურსის ნაწილში არ ფიქსირდებოდა შენიშვნები და ყველაფერი შესაბამისობაში იყო მოქმედ კანონმდებლობასთან.

ექსპერტის განცხადებით, **2. მატერიალური რესურსის** ნაწილის გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოება:

- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას. შერჩევითი პრინციპით გადამოწმების შედეგად სილაბუსებში მითითებული ყველა წიგნი აღმოჩნდა ადგილზე. მარკეტინგული ანალიზის პედაგოგის ინფორმაციით, იგი სილაბუსში მითითებული სახელმძღვანელოს ნაცვლად სასწავლო პროცესში იყენებს Philip Kotler, Kevin Keller Marketing Management მე-15-ე გამოცემას, თუმცა დაწესებულების ბიბლიოთეკაში არ მოიძებნა იგი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული სახელმძღვანელოს მე-12 და მე-14 გამოცემა, რაც სილაბუსში იყო მითითებული, ბიბლიოთეკაში არსებობდა ექსპერტთა ვიზიტის დროს და ეს დასტურდებოდა ექსპერტთა შეფასებით. რაც შეეხებოდა მე-15 გამოცემას, ის დაწესებულებაში არსებობდა ელექტრონული ვერსიის სახით. არ იყო დარეგისტრირებული ბიბლიოთეკის კატალოგში, თუმცა ხელმისაწვდომი იყო ექსპერტთა ვიზიტის დროსაც. სახელმძღვანელო დარეგისტრირდა ბიბლიოთეკის კატალოგში და აღნიშნულის შესახებ ეცნობა ექსპერტებს.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 19:15 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 19:25 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56^3-ემუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 400028849) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ლაშა მარგიშვილმა გააკეთა განმარტება, რომ დაწესებულებას, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 12 ივლისის №205 გადაწყვეტილებით მიენიჭა უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი). შესაბამისად, ლაშა მარგიშვილმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რომ ვინაიდან, დაწესებულებამ მოიპოვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი), საბჭოს ძალადაკარგულად უნდა გამოეცხადებინა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 12 ივლისის №205 გადაწყვეტილება. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმაც.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს - ევრაზიის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 12 ივლისის №205 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,შპს - ევრაზიის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 12 ივლისის №205 გადაწყვეტილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 19:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
თინათინ ბრეგვაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე

მდივანი
ნინო ჩინჩალაძე